საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტი

ფასი 5 მან.

№ 7 — ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. — № 7

ხარასკევი, 25 ივნისი 1920 წელი

რედაქცია და **კანტორა** მოთავსებულია ბასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერს სწერენ და ამბობენ გარდა სიმართლისა

ამ დღეებში თფილისში ჩამოსულმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ამხ. **კიროვმა** თავის სიტყვაში, სხვათა შორის, განაცხადა შემდეგი: სადაც არ ვუკვირდები, ყოველგან იმას ვხედავ, რომ საბჭოთა რუსეთის შესახებ სიმართლეს არავინ ამბობს, სამაგიეროთ ჭორს, ცილისწამებას, სიცრუეს სოციალისტური რუსეთის შესახებ მეტათ ფართო ასპარეზი აქვს დათმობილიო. ამხ. კიროვმა ამ სიტყვებით აღნიშნა ის საყოველთაო მოვლენა, რომელიც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების მხრით. ცილისწამება, სიცრუე, ტყუილი იყო უმთავრესი იარაღი გაბატონებული კლასის მხრით მუშათა კლასის წინააღმდეგ. დავანებოთ თავი ძველ დროს, გავიხსენოთ მარტო ის, თუ რას ამბობდა სისხლის მსმელი ბურჟუაზია ტიერების მეთაურობით პარიჟის კომუნარების შესახებ, რა საზიზღარ ჭორებს, ცილისწამებას და ტყუილებს არ ავრცელებდენ მოსყიდული და ყოვლათ უსინიდისო ბურჟუაზიული პრესის მწერლები პარიჟის კომუნის წამებულთა შესახებ. ბურჟუაზიული მწერლების სიტყვებიდან გამოდიოდა, რომ პარიზის კომუნის მოღვაწენი, მისი სულის ჩამდგმელები ადამიანები კი არა, არამედ მხეცები, ბანდიტები, ყაჩაღები, ქურდები, მკვლელები იყვენ. მაგრამ ჩქარა მთელმა ქვეყნიერებამ დაინახა, თუ ვინ იყვენ კომუნარები ერთი მხრით, და იმათი ჯალათები მეორე მხრით; მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ ნამდვილი ავაზაკები, ყაჩაღები და მკვლელები იყვენ სწორედ ისინი, ვინც პარიჟის კომუნა დაამხეს და თვით კომუნარები დაუზოგველათ ამოხოცეს. დღეს ჩვენ ვიცით, რომ პარიზის კომუნის ისტორია სავსებით განმეორდა რუსეთის დიდი რევოლიუციის დროს მხოლოდ მეტად დიდ, პირდაპირ გიგანტისებურ მასშტაბით. თუ 1871 წელს პარიზის კომუნის წინააღმდეგ იბრძოდა მხოლოდ საფრანგეთის ბურზუაზია. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ამხედრდა არა მარტო რუსეთის, არამედ ყველა ქვეყნის კაპიტალისტური ბურჟუაზია. საბჭოთა რუსეთს, რომელმაც ბურჟუაზია ჩამოაგდო ტახტიდან და მის ქონებას ექსპროპრიაცია უყო, ყველა ქვეყნის ბურჟუაზიამ რკინის ალყა შემოარტყა, დაუბმო მას ყველა შესაძლებელი გამოსავალი კარები. ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს და მემამულეებს უნდოდათ რუსეთის პროლეტარიატის და გლეხკაცობის ჩახჩობა; იმავე დროს კოლოსალური მასშტაბით მოყიდული კაპიტალისტების და მემამულეების პრესა შეუდგა რუსეთის სოციალისტური პროლეტარიატის და რევოლიუციონური გლეხკაცობის ყოვლად უსინიდისო ლანძღვა-გინებას; აბრალებდენ ისეთ დანაშაულთა ჩადენას, რომლებზედაც რუსეთის მუშებს და გლეხებს წარმოდგენაც კი არ ქონდათ. ავრცელებდენ დაუჯერებელ ჭორებს, ცილისწამებებს, მით[illegible]ეტეს რომ სინამდვილის გაგება შეუძლებელი იყო. გამოდიოდა, რომ რუსეთის მუშები და გლეხები პირდაპირ გამხეცდენ და ყაჩაღებათ, ავაზაკებათ და სისხლის მსმელ მკვლელებათ იქცენ. და ეს საზიზღარი ჭორები ტ ზღაპრები სჯეროდათ, ხალას ჭეშმარიტებათ მიიჩნდათ გაბრუებულ ტ დატყუილებულ ხალხს, ვინაიდან მართლის მთქმელი საბჭოთა რუსეთზე არსად იყო ან თუ იყო მას ამის ნებას არ აძლევდენ, სდევნიდენ, ციხეში აგდებდენ ან აძევებდენ. ყველას ახსოვს ალბათ ის, რომ დაახლოვებით ამ ერთი წლის წინეთ ყვითელ ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა, იმ ინტერნაციონალის, რომელმაც მუშათა კლასსი გასცა და კაპიტალისტების მთავრობათ დაუჭირა მხარი იმპერიალისტურ ომში, — აი სწორედ ამ ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა ევროპის დატყუილებული მუშების ზეგავლენით გადასწყვიტეს საბჭოთა რუსეთში კომისიის გაგზავნა სინამდვილის გასაგებათ. არავის არ შეეძლო რაიმე ეჭვის შეტანა, რომ ეს კომისია საბჭოთა მთავრობას ოდნავათ დაიცავდა, ვინაიდან ეს კომისია იგზავნებოდა შეიდემანელების, რენოდელების, ვანდერველდების და სხვა მენშევიკებისგან, რომლებიც არა ნაკლებ უწყობდენ ხელს ყველა საზიზღარ ჭორების გავრცელებ[illegible]ს მთელ დედა მიწაზე, რაზედაც ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით.

მაგრამ საბედნიეროთ, ის მძიმე და აუტანელი ატმოსფერა, რომელითაც გარემოცული იყო საბჭოთა რუსეთი მთელი 2 ნახ. წლის განმავლობაში, თანდათან ქრება. დღეს ყველას შეძლება აქვს გაიგოს სიმართლე საბჭოთა მთავრობის შესახებ. ნურავის გაუკვირდება კი, თუ ბევრ კარგ მხარეებთან ბევრ ცუდსაც იპოვნის, როგორც პირდაპირ შედეგს წყეული იმპერიალისტური ომისა ერთი მხრით და საშინელი სამოქალაქო ომისა მეორე მხრით. მაგრამ ვისაც სიმართლე და ჭეშმარიტება აინტერესებს, იგი ბევრ საგულისხმიერო რამეს დაინახავს და გაიგებს. იგი დარწმუნდება რუსეთის მუშების და გლეხების სიმხეცეში და გაბოროტებაში კი არა, არამედ ბურჟუაზიის და მემამულეების უკიდურეს გაბოროტებაში და პირდაპირ გიჟურ და ბრმა სიძულვილში მუშათა კლასს მიმარ.

ეროვნული თვითგამორკვევა

ჩვენ პროლეტარიატის პარტია, კლასობრივი პარტია ვართ ტ ყოველ მოვლენის დაფასებაში, ყოველ პრაქტიკულ მოქმედებაში გამოვდივართ პროლეტარიატის, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი კლასის, ინტერესებიდან, ამ ინტერესებს ვაყენებთ პირველ ადგილზე და მათ ვუმორჩილებთ ყველა სხვაგვარ ინტერესებს. აქედან ცხადია, რომ ჩვენ ვერ დავიხახავთ დამოუკიდებელ სახელმძღვანელო პრინციპათ ერის, როგორც ერთი მთელის, ინტერესების დაცვას, ჩვენ ამ ინტერესებსაც პროლეტარიატის თვალსაზრისით ვაშუქებთ და ვიცავთ ან უარვყოფთ მათ კონკრეტულ პირობების მიხედვით.

მაშ რაღა არის ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, რომელსაც აღიარებს კომუნისტური პარტია, რომელსაც სცნობს მუშათა ინტერნაციონილი?

ეს აღიარება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თითონ უნდა ავმართოთ ეროვნული მოძრაობის დროშა, როგორც ეს წარმოიდგინეს ზოგიერთმა წვრილ ბურჟუაზიულმა სოციალისტებმა; არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საკუთარი ენერგია უნდა დავხარჯთთ ეროვნული მოძრაობის გასაძლიერებლად.

ჩვენ დღესაც გვიკიჟინებენ, — საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძოდით, ცდილობდით, რომ საქართველო რუსეთს გადაეყლაპა და, მაშასადამე, პრაქტიკულად უარყოფდით ქართველი ერის თვით-გამორკვევის უფლებასო; ამ ბრალდებას იმასაც დასძენენ, რომ თქვენ, სიტყვით ეროვნული თვით-გამორკვევის აღმსარებელნი, საქმით ებრძოდით მას და როგორც საბჭოთა რუსეთის აგენტები, რუსეთის სასარგებლოთ მოქმედებდითო.

ჩვენ ვერ გამოვდგებით ჩვენი მოწინააღმდეგეების დემაგოგიურ ფანდებს და საკითხის გასაშუქებლათ ეს არც საჭიროა. რუსეთის კომუნისტური პარტიის მიერ თვით-გამორკვევის პრინციპის აღიარება იმას მოასწავებდა, რომ რუსეთის პროლეტარიატი, როგორც გაბატონებული ერის ნაწილი, მხარს ვერ დაუჭერდა თავის ბურჟუაზიას წვრილი ერების ჩაგვრასა და შევიწროებაში და პირიქით შეებრძოლებოდა მას; ამასთანავე ის მოითხოვდა, რომ ყოველ ერს თავისი ბედის გადაწყვეტის უფლება ქონოდა, თუნდაც ეს უფლება ჩამოყალიბებულიყო, როგორც სახელმწიფოდან გამოყოფა და საკუთარი სახელმწიფოს დაარსება. ასეთ პოლიტიკას რუსეთის პროლეტარიატი იმ მოსაზრებით აწარმოებდა, რომ შეუძლებელი გაეხადა რაიმე უნდობლობა დაჩაგრულ ერების პროლეტარიატის მხრით, რასაც ბურჟუაზიული კლასების წყალობით უეჭველათ ექნებოდა ადგილი, თუ რუსეთის პროლეტარიატი ცხადათ და გადაჭრით არ აღიარებდა ეროვნული თვითგამორკვევის უფლებას.

რუსეთის პროლეტარიატი და მისი პარტია სავსებით იცავდენ ამ პრინციპს როგორც მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ დაჩაგრული კლასი იყო, ისე შემდეგ, როცა მან სახელმწიფო ძალა-უფლება ხელთ აიღო. ამის დამამტკიცებელი ფაქტები მრავალია და ჩვენ მათ აღნუსხვას არ გამოუდგებით.

როგორი იყო პოზიცია ქართველი კომუნისტებისა ამ საკითხში? ვსცნობდით თუ არა ჩვენ ამ უფლებას? რასაკვირველია, ვსცნობდით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მის განხორციელებას ქართველი ერის, ან ქართველი პროლეტარიატის მოვალეობათ ვაღიარებდით. ჩვენს მოწინააღმდეგეებს კი სხვანაირათ ვერ წარმოუდგენიათ საქმე: რიდას უფლებაა, თუ ის მაშინვე არ განხორციელდაო. არა, ჩვენ ვსწონიდით, რამდენათ სასარგებლო იყო ქართველი პროლეტარიატისათვის ამ უფლების განხორციელება და იმ აზრს ვადგებოდით, რომ შექმნილ პირობებში ეს არ იყო სასარგებლო, რადგან საქართველოს და მის პროლეტარიატს მოსწყვეტდა რუსეთის რევოლიუციიდან და მსოფლიო იმპერიალიზმის ბრძოლებში ჩაგდებდა.

ამნაირათ, ეროვნულ საკითხში ჩვენ და რუსი კომუნისტები ერთ და იმავე პრინციპს სხვადასხვანაირათ ვუყენებდით სინამდვილეს. მათთვის, როგორც დამჩაგვრელი ერის ნაწილისათვის, ამ უფლების ცხოვრებაში გასატარებლათ პატივსადები იყო მხოლოთ ფაქტი ისეთი ეროვნული მოძრაობისა, რომელიც თვითგამორკვევისაკენ მიისწრაფოდა. ჩვენ კი, როგორც დაჩაგრული ერის ნაწილი, ეროვნულ მოძრაობის დროს ხაზს ვუსვამდით პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს და ეროვნულ იდეალების ნაცვლათ კლასობრივ იდეალებს ვაყენებდით წინ.

ჩვენ ახლაც ვამტკიცებთ, რომ ეს ერთათ ერთი სწორი პოზიცია იყო მარქსიზმის თვალსაზრისით. ნაციონალისტს ისევე არ შეუძლია ამის გაგება, როგორც ბრმას არ შეუძლია წარმოიდგინოს თეთრი ფერი, რაც უნდა კარგათ აუხსნათ; საკვირველიც არ არის არის, თუ მათ ჩვენ ქართველი ერის მოღალატეებათ და სხვის დაქირავებულ და მოსყიდულ აგენტებათ მივაჩნევართ.

დღეს, როდესაც მდგომარეობა სავსებით შეიცვალა და ერთ დროს დაჩაგრულ ქართველ ერს ახლა საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი მოეპოება, ჩვენთვის, ქართველი კომუნისტებისათვის, ეროვნული საკითხი იმნაირათვე დგება, როგორც ის იდგა რუსის კომუნისტების წინ. „საქართველო ქართველებისათვის“ — არის ლოზუნგი ყველა ნაციონალისტებისა. ჩვენ ამისი სასტიკი წინააღმდეგი ვართ. ჩვენ საბოლოოთ ვაღიარებთ ყველა იმ ერთა თვით-გამორკვევის უფლებას, რომლებიც საქართველოს ფარგლებში ბინადარობენ და ეს თვითგამორკვევა გვესმის როგორც სრული უფლება ამა თუ იმ ერისა ისე მოაწყოს თავისი საქმე, როგორც მას სურს, ე. ი. სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდე და საკუთარი სახელმწიფოს დაარსებამდე.

ამით ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვხდებით საქართველოს გაბატონებულ კლასების მჩაგვრელი პოლიტიკისა სხვა ერების მიმართ და ამავე დროს ვსპობთ იმის შესაძლებლობას, რომ ამ ნიადაგზე აღმოცენდეს უნდობლობა ქართველი და სხვა ერის მშრომელ ხალხთა შორის.

ეს სრულიათ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თითონ ავაფრიალებთ ეროვნულ დროშას არა-ქართველ ერებში და შევეცდებით ისინი საქართველოს სხეულს ჩამოვაშოროთ. ასეთი მისწრაფების მოწერა ჩვენთვის მხოლოთ ყოველ რიგიანობას მოკლებულ პიროვნებას შეუძლია. ჩვენ მივისწრაფვით სხვა და სხვა ერთა მშრომელი ხალხის შეერთებისაკენ და არა მათ გათიშვისაკენ და რასაკვირველია, არავითარ ენერგიას არ დავხარჯავთ ამ გათიშვის სასარგებლოთ. ჩვენ ვუქადაგებთ სხვა ერთა მშრომელ ხალხს არა გათიშვას საქართველოდან, არამედ უფრო მეტათ დაკავშირებას ქართველ მშრომელ ხალხთან და თავისი ერის გაბატონებულ კლასებიდან სავსებით გამოყოფას. მაგრამ როდესაც ჩვენს წინ დადგება ფაქტი ეროვნული მოძრაობისა, ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ, რომ ამ მოძრაობამ ნახოს ის გამოსავალი, რომელსაც იგი ეძებს. ეს იქნება გამწვავებული საკითხის ყველაზე უფრო უმტკივნეულოთ გადაწყვეტა.

ასეთი პოზიცია სავალდებულოა ჩვენი პარტიის ყველა წევრებისათვის, სულ ერთია, - ქართველ ერს ეკუთვნიან ისინი თავისი ჩამომავლობით, თუ სხვა ეროვნებას.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი პარტიის არა ქართველი წევრი, რომელიც თავის ერში ნაციონალური დროშით მიდიოდეს და ეროვნული მოძრაობის აქტიურ მონაწილეთ გვევლინებოდეს. პირიქით, არა ქართველ კომუნისტებისთვის ეროვნულ საკითხში ისეთივე პოზიციაა სავალდებულო, როგორსაც ვიცავდით ქართველი კომუნისტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამდე. ისინი თავის მოქმედებაში უნდა დაემყარონ არა გამთიშველ ტენდენციებს, არამედ სხვა ერის მშრომელ ხალხთან სოლიდარობის ტენდენციებს; მათ წინ უნდა წამოაყენონ არა ნაციონალური, არამედ სოციალური მომენტი და ეროვნულ თვითგამორკვევას, რომელსაც გაბატონებული კლასები ემსახურებიან და აწარმოებენ, მათ უნდა დაუპირდაპირონ კლასობრივი თვით-გამორკვევა მშრომელი ხალხისა თვით ამა თუ იმ ერში და მისი კლასობრივი დაპირდაპირება თავის ერის გაბატონებულ კლასებისადმი.

მუშათა კლასი გაიმარჯვებს არა დაქუცმაცებით და უფრო დიდი სახელმწიფოებრივი სხეულიდან ჩამოშორებით, არამედ თავისი ერის გაბატონებული კლასებიდან მკაცრათ გამიჯვნით და სხვა ერთა მშრომელ ხალხთან დაკავშირებით და დაახლოვებით.

ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელოა არა ეროვნული თვით-გამორკვევა, არამედ კლასობრივი თვით-გამორკვევა.

ინტელიგენცია და საგჯოთა მთავრობა

პროფ. გრედესკულის ლ. ქცია.

მოსკოვის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ პროფესორ გრედესკულს ივნისის დამდეგში საჯარო ლექცია წაუკითხავს მოსკოვში. გასაკვირველი არ არის, რომ ამ ლექციას დიდი ინტერესი გამოუწვევია. პროფ. ნ. ა. გრედესკული — რუსეთის ინტელიგენციის ერთი უდიდესი ბურჯთაგანი, ყოფილი საუკეთესო წარმომადგენელი კადეტური პარტიისა — ყველასათვის საინტერესო იყო, თუ რას იტყოდა იგი. მისმა ლექციამ, მართლაც რომ გაამართლა იმედები. ინტელიგენციის ტიპიურმა წარმომადგენელმა (მისი სიტყვებია) აშკარათ დაგმო თავისი წარსული. უბრალოთ, ყოველი პრანჭვა-გრეხის გარეშე, ლაპარაკობს ის იმის შესახებ, თუ როგორ გარდაქმნეს იგი ამ უკანასკნელ სამი წლის მომხდარ ამბებმა და ფაქტებმა. პროლეტარიატის გამარჯვებას რუსეთში და საერთაშორისო ბურჟუაზიის აგონიას ის ხსნის როგორც სოციალურ-ისტორიულ ფაქტებს. ძველი უფსკრულში ჩაინთქა, მისკენ დასახევი გზა აღარ არსებობს — ამბობს იგი. მას ვერ წარმოედგინა უწინ თუ ასე ადრე მოხდებოდა საზოგადოების გარდასვლა სოციალისტურ წყობილებაში. დღეს კი უკვე ცხადია, რომ „ჩვენ რუბიკონი გარდავლახეთ“.

„ინტელიგენციამაც უნდა გარდალახოს თავისი რუბიკონი“ — ხშირათ იმეორებს გრედესკული, თუ კი ოდესმე დადგებოდა დრო ინტელიგენციის წინაშე ხალხისათვის თვისი ვალის გარდახდისა, სწორეთ დღეს ეს დრო დადგა. შემდეგ იგი იგი იცავს მთელი თავისი ცოდნით და გამოცდილებით საბჭოთა მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას. ის არამც თუ ამართლებს შრომის მილიტარიზაციას, არამედ ნახულობს საუკეთესო საშუალებათ დღევანდელი მდგომარეობიდან ბრწყინვალე გამარჯვებით გამოსასვლელათ. ის უპასუხებს მოწინააღდეგეთ, რომ მილიტარული შრომა, საზოგადოების ბედნიერებისათვის შემოღებული, არ არის მონური და უნაყოფო შრომა, არამედ ის არის გამომწვევი მშრომელთა მასსებში ჯერ არ ნახულ ენტუზიაზმისა და გმირობისა. ინტელიგენცია, როგორც ყველა მუშებზე უფრო დახელოვნებული და შეგნებული ნაწილი მშრომელი პროლეტარიატისა, მოვალეა პირველ რიგში ჩაუდგეს შრომის ფრონტს.

თავისი ლექციის ბოლოს ლექტორი იგონებს პარიზის კომუნას და ამბობს: „ისევე, როგორც პარიზის კომუნის დაღუპვის დროს, მასონების ორგანიზაციები გამოვიდენ დიდი პარიზის ქუჩებში და თავისი თეთრი დროშები წინ დახარეს დაღუპვის კარებთან მდგომ წითელი კომუნის წითელი დროშების წინაშე, — იმგვარათვე, დღეს — დეე, თეთრი ტ ყოველივე სხვა დროშები ძირსდაიხაროს გამარჯვებულ საბჭოთა რუსეთის წითელი დროშების წინაშე“.

ლექციას გამოუწვევია დიდი კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ 14 ორატორი, მათ შორის მენშევიკებიც.

გამოდიოდენ უმთავრესად უპარტიო ინტელიგენტები. ერთი მათგანი ასე უპასუხებს მენშევიკებს: „წითელი დროშა უნდა ატაროთ ბოლომდის და არ დაადგოთ იგი შუა გზაზე“. ამ სიტყვებს მთელი აუდიტორია ტაშის ცემით ხვთება.

მეტად დამახასიათებელი და ტიპიურია პრ. გრედესკულის ლექცია. ეს არის რუსები რომ იტყვიან, „знаменье времени“. რუსეთის ინტელიგენცია გზა ჯვარედინს მიადგა. დახავსებულნი, გახრწნილნი მიდიან იქით, საითაც უნდა მიდიოდენ — სიკვდილსკენ, საუკეთესონი კი, რომლებთა გულში არ ჩამქრალა ცეცხლი კაცობრიობისადმი სიყვარულისა და ახალისადმი ტრფიალისა, — მიდიან ბრძოლის და გამარჯვების წითელი ქვეყნისაკენ.

პროფ. გრედესკული უკანასკნელთ რიცხვში მომხთარა. გამარჯვებული კაცობრიობა მის ძველ პოლიტიკურ წარსულს დაივიწყებს. ახალი მოღვაწეობისათვის კი მისთვის ასპარეზი ფართეა.

ვინ. ბან.

დღევანდელი რეპრესიების გამო

ერთი თვეა, რაც ციხის კარები გაიღო და ჩვენ თითქოს თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

საქართველოში ჩვენი მუშაობის პირობები თავიდან მძიმე იყო და თვითეულს ჩვენს ამხანაგს ლოდივით აწვა განუწყვეტელი რეპრესიები, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იყო მომართული, და ლანძღვა გინება და დაცინვა, რომელიც ფართედ ვრცელდებოდა ჩვენს შესახებ.

ძველად არა ლეგალურათ მუშაობა გაცილებით უკეთეს პირობებში გვიხდებოდა, ვიდრე დღეს.

სახელმწიფო აპარატები, ჯარი და მილიცია რა იდია ჩვენთვის უცნობი პირების ხელში.

პირიქით მათი უმრავლესობა გუშინდელი ჩვენი ამხანაგებია, რომლებმაც ჩვენთან ერთათ გასწიეს ერთნაირი მუშაობა თვითმპყრობელობის ხანაში და სხვა.

ამის შემდეგ რა გასაკვირალია, რომ მეტათ მძიმე პირობებში მოქცეულიყო ჩვენი პარტიული მუშაობა აქ?

არსად ასე ხელსაყრელი არაა მოწინააღმდეგეთათვის ჩვენი არა ლეგალურობა, როგორათაც აქ. და იციან რა ჩვენი ასეთი მდგომარეობა, კვლავ ეძებენ მიზეზს ჩაგვრეკონ „პოდპოლიეში". ჩვენ აშკარად ავხსენით ჩვენ.ა გაზეთის ფურცლებზე, რომ ტერორისტული პარტია და შურის მაძიებელი არა ვართ. ეს ყველას საყურადღებოთ დაიბეჭდა, პირიქით, იმაზე კარგი რა იქნებოდა, რომ ჩვენი წინანდელი ამხანაგები თვითონ უარყოფდენ შურის ძიების გზას, ფიზიკური ბრძოლის მეთოდებს და მთელი თავისი მოწყობილი აპარატით მარტო იდეურ ბრძოლას აწარმოებდენ ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ განა ამაზე ოცნება შეიძლება, მას შემდეგ, როდესაც დღეს ისევ იმ პირობებში ჩაყენება სურთ, რომლისაგან ეს არის ამოვედით?

ამის დასამტკიცებელ ამბებს და ფაქტებს მრავლათ აქვს დღეს ადგილი საქართველოს ყველა კუთხეებში. ვერც ერთი ამხანაგი დევნას და ხელმეორეთ დატუსაღებას ვერ აცდა.

მეტეხისა და ქუთაისის სატუსაღოს კარები კვლავ ფართედ იღება ჩვენთვის, და ჩვენს დაჭერას საგანგებოთ აწყობენ (იხილე კორესპონდენცია ამხ. სერგო მეგრელიშვილის და სხვების დაპატიმრების შესახებ ჩვენს გაზეთში). ეს მდგომარეობა აუცილებლათ უნდა შეიცვალოს, უნდა მოხდეს ჩვენი პარტიის ლეგალური მუშაობის სრული და მიუკიბ-მოუკიბავი დადასტურება. სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება აღიარებული უნდა იქნეს ჩვენთვისაც.

ვისაც ჩვენთან ბრძოლა უნდა, ვისაც უნდა ჩვენი არა სოციალისტობა დაამტკიცოს, ეს მან უნდა შესძლოს ჩვენი პოზიციის იდეური კრიტიკით და არა ჩვენი ისევ ციხეში ჩაკეტვით. დღევანდელი რეპრესიები მართალია არ უწყობენ ხელს დადინჯებულ მუშაობას, მაგრამ ჩვენმა ამხანაგებმა პარტიული მუშაობა სრული სიმშვიდით უნდა აწარმოონ. მთელი მუშაობა ჩვენი დღეს პარტიულ ყრილობის მოწვევის გარშემო უნდა იყვეს. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ ეს სისრულეში უნდა მოვიყვანოთ ეს. საქართველოს კომუნისტების ყრილობა პირველი იქნება, ყველა ჩვენი ძალები და მომავლის იმედები აქ, ამ ყრილობაზე უნდა გამოირკვეს. ამიტომ სანამ საგრძნობლათ გასთიბავდენ ჩვენს რაზმებს, ჩვენ უნდა მოვასწროთ მოკლე ხანში ამ ყრილობის მოწვევა, რომ ის რაც შეიძლება სრული და მნიშვნელოვანი დარჩეს.

დღეს მრავალი კითხვებია ჩვენში გასარჩევი—კითხვები მეტად მომწიფებული, რომელიც დიდი ხანია მოითხოვს გადაჭრას და ამიტომ ის უთუოთ თავისუფალ ფარგლებში უნდა გადიჭრეს.

თენგიზი.

პრესა

„სახ. საქმეს" გუშინდელ ნომერში მოყავს ის დეკლარაცია, რომელიც ს.-ფ. ფრაქციას წაუკითხავს დამფ. კრების სხდომაზე გასული წლის მარტის 2-ს. ამ დეკლარაციაში, სხვათა შორის, ნათქვამი ყოფილა:

„საქართველოს განთავისუფლების დროშა არის **დროშა სოციალისტური დემოკრატიისა.** ამ დემოკრატიის, მშრომელი მასსის საქმეა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინებაც შეგნებული განსაზოგადოებრული მეურნეობით, რომელიც უნდა მოაწყონ კოოპეერატივებმა, საერობო და საქალაქო თვითმართველობამ და მთელმა სახელმწიფომ".

„სოციალისტური დემოკრატიის დროშა", „განსაზოგადოებრული მეურნეობა" და სხვა ასეთები! მაგრამ ყველა ამას ხომ ბალშევიზმის სუნი უდის. ამიტომ ესფერების დეკლარაციაში ეკითხულობთ:

„ჩვენ არა გვგონია, რომ დღესვე შესაძლებელი იყოს სოციალიზმის განხორციელება. დღეს არის მხოლოდ გარდამავალი ხანაო".

სწორედ კარგია: ჩვენ სოციალსტური დემოკრატია ვართ, ჩვენ მოვითხოვთ წარმოების განსაზოგადოებრიობას და სხვა ამგვარებს, მაგრამ ნურას უკაცრავათ, თუ დღეს სოციალიზმის განსახორციელებლათ არ გვეცალაო. მით უმეტეს, რომ, როგორც დასძენს გაზეთი:

„მეორე მხრით ჩვენ კარგათ გვესმოდა და გვესმის, რომ **კერძო ინიციატივის მთლად მოსპობა დღევანდელ პირობებში ...შეუძლებელია და საქმეს უფრო გაართულებსო**". (ხაზი ჩვენია).

ამაო სოციალისტებათ მოაქვთ. სწორედ ამიტომაც არის, რომ ქართველი სოც.-ფედერალისტები ასე უფრთხიან საბჭოთა რუსეთთან დაახლოვებას.

საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთის ნაციონალური მოძრაობა.

ამხ. ჩიჩერინის წერილი დიდ ნაციონალურ კრების პრეზიდენტს ქიამილ-ფაშას მიმართ.

9 ივნისის „პრავდა"-ში მოთავსებულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ჩიჩერინის შემდეგი ნოტა მუსტაფა ქიამილ-ფაშასადმი.

„ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების პრეზ. მუსტაფა-ქიამალ-ფაშას.

საბჭოთა მთავრობამ მიიღო თქვენი წერილი, რომელშიაც თქვენ სურვილს გამოსთქვამთ მუდმივი კავშირი დაიკავოთ საბჭოთა მთავრობასთან და მონაწილეობა მიიღოთ ბრძოლაში უცხო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ერთნაირათ ემუქრება ორივე ქვეყანას, საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს ოსმალეთის ახალ მთავრობის საგარეო აოლიტიკის ძირითად პრინციპებს,—მთავრობის, რომლის სათავეშიაც ანგორის დიდი ნაციონალური კრება სდგას; პრინციპები:

1) ოსმალეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

2) ოსმალეთის ფარგლებში ოსმალეთის ტერიტორიის უდავო ნაწილების მოქცევა.

3) არაბეთისა და სირიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ გამოცხადება.

4) გადაწყვეტილება დიდ ნაციონალურ კრებისა იმის შესახებ, რათა ოსმალეთის სომხეთს, ქურთისტანს, ლაზისტანს, ბათუმის ოლქს, ფრაკიას და იმ ტერიტორიებს, რომელზედაც შერეულათ ოსმალები და არაბები მოსახლეობენ,—მიეცეთ უფლება თითონ გამოარკვიონ თავიანთი ბედი. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ მხარეებში თავისუფალი რეფერენდუმი მოხდება ლტოლვილებისა და ემიგრანტების მონაწილეობით, რომლებიც თავის დროზე იძულებული იყვენ დაეტოვებიათ თავიანთი საცხოვრებელი ალაგები; რეფერენდუმი უნდა მოხდეს ამ ლტოლვილთა თავიანთ ალაგებში დაბრუნების შემდეგ.

5) ახალ ოსმალეთის ფარგლებში მყოფ ნაციონალურ უმცირესობათა ყველა იმ უფლებების აღიარება, რითაც სარგებლობენ ევროპის უფრო განვითარებულ და თავისუფალ სახელმწიფოების ნაციონალური უმცირესობანი.

6) სრუტეების შესახებ საკითხი უნდა განიხილოს შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე სახელმწიფოთა კონფერენციამ.

7) კაპიტულიაციისა და უცხოეთის ეკონომიურ კონტროლის მოსპობა.

8) უცხო სახელმწიფოების გავლენის სფეროს გაუქმება, როგორიც უნდა იყოს ეს გავლენა.

საბჭოთა მთავრობა იღებს ცნობათ დიდ ნაციონალურ კრების გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რათა ჩვენი მუშაობა და ჩვენი სამხედრო ოპერაციები იმპერიალისტურ მთავრობის წინააღმდეგ შეთანხმებული იყოს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების მაღალ იდეალთან. საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ დიპლომატიური მოლაპარაკება დიდ ნაც. კრებისა სამხრეთ-სპარსეთს შორის დაამყარებს ნამდვილ საზღვრებს მხარეთა შორის და დამკვიდრებული იქნება სამარილიანობისა და ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე. საბჭოთა მთავრობა მზათ იქნება იკისროს მოსაშუალის როლი, თუ კი ამას ისურვებენ დაინტერესებული მხარეები.

იმ მიზნით, რათა რუსეთსა და ოსმალეთს შორის დამკვიდრდეს მეგობრული დამოკიდებულება, მტკიცე მეგობრული ურთიერთობა, საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა დაუყონებლივ დაწყებულ იქნეს ორივე სახელმწიფოში დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობა. აღიარებს რა შეურყეველათ პრინციპს ხალხთა თვითგამორკვევისა, საბჭოთა მთავრობა მეგობრულ ხელს უწვდის მთელი ქვეყნის ყველა ხალხებს. ის დიდის ინტერესით ეგებება ამ ეროვნულ ბრძოლას, რომელსაც ოსმალეთის ხალხი აწარმოებს თავის დამოუკიდებლობისათვის. დღეს, როდესაც ოსმალეთი განიცდის დიდ ტანჯვას, საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულის სიხარულით ჰკრავს მეგობრულ კავშირს, რომელმაც უნდა შეაკავშიროს რუსეთისა და ოსმალეთის ხალხები.

გაცნობებთ რა ამას, ბ-ნო პრეზიდენტო დიდ ნაციონალურ კრებისა, მაქვს პატივი მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის ხალხის სახელით ვუსურვო გამარჯვება ოსმალეთის ხალხს, რომელიც იბრძვის თავის დამოუკიდებლობისათვის.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი

ჩიჩერინი".

საზღვარ გარეთ

ჩეხო-სლოვაკია.

ჩეხელ კომუნისტ მუნის პროცესი.

მაისის მეორე ნახევარში პრაგაში ირჩეოდა საქმე ჩეხელ ამხ. ალოიზა მუნის, რომელსაც ბრალად სდებენ სახელმწიფო ღალატს. ამხ. მუნი ცნობილი ლიდერია ჩეხო-სლოვაკელ კომუნისტების; რამოდენიმე წელი ის იყო რუსეთში. პროფესიით ის ქარგალია (**поргноѣ**).

რამოდენიმე ხანი ის მუშაობდა ვენაში. შემდეგ იყო მდივნათ ერთ-ერთ ჩეხელ ორგანიზაციის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. იმპერიალისტური ომის დროს ის მოხვთა ტყვეთ და ჩვენი რევოლიუციის შემდგომ შეიქმნა ერთ საუკეთესო აგიტატორათ ჩეხელ სამხედრო-ტყვეებისა. ჩეხიაში დაბრუნებისთანავე მუნიმ დაიწყო ინტენსიური კომუნისტური მუშაობა-პროპაგანდა. ახლა მას და მის ამხანაგებს ჩეხიის ბურჟუაზიული მთავრობის მიერ ბრალი ედება, რომ ის კონტაქტში მუშაობდა ბელა-კუნთან ერთად, ყოველივე დახმარებას უწევდა უნგრეთის წითელ ჯარს სლოვაკიის საბჭოთა რესპუბლიკათ გარდაქმნაში.

„მაყურებლები, ასობით—სწერს ბურჟუაზიული „ფოსიშე ცეიტუნგი"—სალამს უძღვნიდნენ ბრალდებულთ და ყვავილებს და სიგარეტკებს აწვდიდნენ მათ". საბრალდებულო მატერიალი არ აღმოჩნდა საკმაოთ და პროკურორიც იძულებული იყო ეთხოვა საქმის გადადება.

საგანგებო სასამართლო სამი საათი ბჭობდა. ამ დროის განმავლობაში ხალხი ოვაციებს უმართავდა ბრალდებულთ,

პროლეტარული სახელმწიფო ანუ საბჭოეთის სისტემა

2. პარლამენტარიზმი და საბჭოების სისტემა.

მცნება **სახელმწიფო** დღემდის ხალხის თვალში დიდი ბურუსით არის მოცული. ამას აწერდენ ღვთაებრივ, ზესთა-ბუნებრივ წარმოშობას. სახელმწიფოს და ხელმწიფეს ანუ იმ პირს, რომელიც სახელმწიფოს ედგა სათავეში, თანასწორ მნიშვნელობას აკუთვნებენ. მთავარი, მეფე, ხელმწიფე, უზენაესი, მირონცხებული, ღვთიდან გამოგზავნილ პიროვნებებათ ითვლებოდენ. ისინი ითვლებოდენ. არა თუ კლასსზე, წოდებაზე მაღლა მდგომ არსებათ, არამედ ხალხის წარმოდგენაში ისინი იდგენ თვით სახელმწიფოს მაღლა. ერთი სიტყვით, როგორც სახელმწიფო, ისე სახელმწიფოს თავი, მეფე, ხელმწიფე და სხვ. რაღაც მისტიურ მოვლენებათ ითვლებოდენ ხალხის თვალში; იმათ წინაშე ძრწოდენ და კანკალებდენ. ბურჟუაზიამ თავის რევოლიუციონურ ხანაში რამდენიმეთ ჩამოაცალა სახელმწიფოს ეს მისტიური, ღვთაებრივი სახე. წინანდელ მონარქიების, თვითმპყრობელობათა, სამეფოთა მაგიერ ბურჟუაზიამ მოგვცა **პარლამენტარული სახელმწიფო,** მირონცხებულ მეფეების მაგიერ **ამორჩეული პრეზიდენტები.**

მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებითად სახელმწიფო დარჩა ისეთი, როგორიც იყო. თუ წინათ სახელმწიფო მემამულეების, ფეოდალების ხელში **იარაღი** იყო ხალხის დასამონავებლად და დასამორჩილებლად, ახლა ასეთივე **იარაღი** შეიქმნა ის ბურჟუაზიის ხელში. მორჩა და გათავდა. როგორც წინად, ისე ახლაც სახელმწიფო კონსტიტუციონური მონარქიის და თვითმპყრობელობის ფორმით, თუ ბურჟუაზიული (დემოკრატიული) რესპუბლიკის სახით, სულ ერთია ის ევლინება ხალხს, როგორც იარაღი, როგორც აპარატი მისი დამორჩილებისა, დამონებისა და გაყვლეფისა, მაგრამ ეს ძირითადი თვისება სახელმწიფოსი კიდევ დიდხანს ხალხის უმეტესობისთვის დაფარული რჩება. ბურჟუაზია, რომელმაც სახელმწიფოს წინანდელ ფორმას ჩამოაცალა შარავანდედი, ახალ სახელმწიფოებრივ კულტს ზრდის კონსტიტუციონური ან პარლამენტარული რესპუბლიკის სახით. პროლეტარული რევოლიუციის ინტერესები თხოულობდენ, რათა გამოაშკარავებულიყო ბურჟუაზიული მეცნიერების სიყალბე და ფარისევლობა, დამსხვრეულიყო კულტი არა თუ ბურჟუაზიული სახელმწიფოს, არამედ საზოგადოთ ყოველივე სახელმწიფოს შესახებ. ეს საქმე შესანიშნავათ შეასრულეს მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრებმა, მარქსმა და ენგელსმა.

სახელმწიფო შეიქმნა იმათი ყურადღების მთავარი საგანი, რომელსაც ისინი მუდამ იკვლევდენ და უბრუნდებოდენ თავის ისტორიულ-პუბლიცისტურ და საპრიგრამო ნაწერებში. სამწუხაროდ, შემდეგ ხანებში, განსაკუთრებით თვით მარქსის და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, როცა სოციალისტურ პარტიებში გაბატონდა ოპორტიუნისტული მიმართულება, მარქსის და ენგელსის მართლაც რომ რევოლიუციონური მოძღვრება სახელმწიფოზე ან გარყვნეს ან სრულებით მიივიწყეს. ამნაირად მეორე ინტერნაციონალის ხანაში სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ის შეხედულება, რომელიც ერთი მხრით „ფარყოფდა" ბურჟუაზიის დიქტატურის გატეხას და პროლეტარიატის დიქტატურის დაწესებას სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენათ და მეორე მხრით სცნობდა სახელმწიფოს შენარჩუნებას კომუნიზმის განხორციელების დროსაც. ეს იყო მარქსიზმის სრული გარყვნა, გადასხვაფერება, ან დავიწყება. მეორე ინტერნაციონალის კრახი, გაკოტრება გამოიწვია არა იმპერიალისტურმა ომმა 1914 წელს, არამედ იმ გარემოებამ, რომ როგორც მარქსის და ენგელსის, ისე პირველი ინტერნაციონალის ანდერძი თითქმის სავსებით დავიწყებულ იქნა. ყველაზე უფრო ეს უნდა ითქვას სახელმწიფოს შესახებ. ამიტომ ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ უკან, უნდა განვაახლოთ თავის მეხსიერებაში მარქს-ენგელსის შეხედულება სახელმწიფოზე მხოლოდ მაშინ შევადგენთ ჩვენ სწორ და ნათელ შეხედულებას სახელმწიფოზე წარსულში, აწმყოში და მომავალში. სახელმწიფოს წარმოშობა შეკავშირებულია საზოგადოების კლასებათ დაყოფასთან, და როგორც კი მოისპობა კლასები, თავისთავათ მოისპობა სახელმწიფოც, როგორც ლოლიკური შედეგი კლასობრივი საზოგადოებისა. აი ერთი მთავარი დებულებათაგანი, რომელსაც მარქსი და ენგელსი თავს დასტრიალებენ, რომელსაც ისინი თანდათან აღრმავებენ და ასაბუთებენ ახალ-ახალ ფაქტებით. „მუშათა კლასი—ამბობდა მარქსი **„ფილოსოფიის სიღატაკეში"**—განვითარების მსვლელობაში ბურჟუაზიული საზოგადოების მაგიერ წამოაყენებს ისეთ ასოციაციას, რომელიც უარყოფს კლასებს და იმათ წინააღმდეგობათ; ამიტომ აღარ იქნება უკვე არავითარი პოლიტიკური მთავრობა (ე. ი. სახელმწიფო), ვინაიდან სახელდობ პოლიტიკური მთავრობა კლასთა წინააღმდეგობის გამოთქმაა ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნითო". ამ დებულებას ავითარებს რიგორც მარქსი, ისე ენგელსი შემდეგი დროის ნაწერებში. მეორე დებულება მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრებისა მდგომარეობს იმაში, რომ სანამ არ მომხდარა კლასთა მოსპობა, თვით პროლეტარიატი აუცილებლათ უნდა გადაიქცეს გაბატონებულ კლასათ, რომელმაც ძალდატანებით უნდა დაიმორჩილოს ბურჟუაზია, ჩამოართვას მას წარმოების საშუალებანი და განსაზოგადოებრიოს ისინი.

მარქსის და ენგელსის „კომუნისტურ მანიფესტში" ამის შესახებ ვკითხულობთ: „არსებულ საზოგადოებაში ჩვენ ვამჩნევთ ცოტათ თუ ბევრათ დაფარულ სამოქალაქო ომს იმ მომენტამდე, როცა ეს ომი აშკარა რევოლიუციათ ხდება, და პროლეტარიატი აარსებს თავის ბატონობას ბურჟუაზიის ძალადატანებითი დამხობის მეოხებით... ჩვენ დავინახეთ ზევით, რომ პირველ ნაბიჯს მუშათა რევოლიუციაში შეადგენს პროლეტარიატის გარდაქმნა გაბატონებულ კლასათ, დემოკრატიის დაპყრობა... პროლეტარიატი გამოიყენებს თავის პოლიტიკურ ბატონობას იმიტომ, რომ თანდათან გამოგლიჯოს ბურჟუაზიას ხელიდან მთელი კაპიტალი, თავი მოუყაროს წარმოების ყველა იარაღებს სახელმწიფოს, ე. ი. როგორც გაბატონებული კლასი, შეკავშირებული პროლეტარიატის ხელში*)...

შემდეგში მარქსი კიდევ უფრო მკაფიოთ და გარკვევით ამბობს ამავე საგანზე წიგნაკში: „ლუიბ ონაპარტის 18-ტე ბრიუმერი" 1851 წელს იგი სწერს: „ყველა წინანდელი რევოლიუციები (ბურჟუაზიულ რევოლიუციებზეა ლაპარაკი. (ფ. მ.) აუმჯობესებდენ ამ მაშინას (პარლამენტარულ რესპუბლიკას, სახელმწიფოს), საჭირო იყო კი მისი გატეხა დამტვრევაო". პარლამენტარული წესწყობილება, პარლამენტარული რესპუბლიკა შედეგი იყო ბურჟუაზიულ რევოლიუციების, რომელთა ხანა იწყება დაახლოვებით მე XVII—XVIII საუკუნოებში და თავდება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარის დასასრულს. მარქსმა და ენგელსმა ისტორიული ფაქტების ანალიზით დაამტკიცეს, რომ ბურჟუაზიულ რევოლიუციების ხანა დამთავრდა, და მას შემდეგ რევოლიუციის მოთავეთ, მის ხელმძღვანელათ აუცილებლათ პროლეტარიატი უნდა ვამოვიდესო. ეს ნიშნავს იმას, რომ ახალი რევოლიუციების დროს ძალა-უფლება პროლეტარიატმა უნდა ჩაიგდოს ხელში, ეს ნიშნავს იმას, რომ პროლეტარიატი ხდება გაბატონებულ კლასსათ, იგი აწესებს თავის დიქტატურას ბურჟუაზიის დიქტატურის მაგიერ. მაგრამ იბადება კითხვა, როგორ ხდება პროლეტარიატის ზიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ამ კითხვის კონკრეტიულათ გადასაჭრელათ მარქსმა ისარგებლა პარიკის კომუნის მაგალითით. 1872 წელს, „კომუნ. მანიფესტის" ახალ წინასიტყვაობაში მარქსი და ენგელსი აი რას წერდენ: „კომუნამ დაამტკიცა, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია ისე უბრალოთ დაიპყროს სახელმწიფოებრივი მაშინა და ამოქმედოს ის თავის საკუთარ მიზნებისათვისო;" ესე იგი, მარქსი და ენგელსი ამტკიცებდენ, რომ პროლეტარიატისთვის როდი კმარა ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მაშინის ხელში ჩაგდება. პირიქით, თუ მუშათა კლასს უნდა ამ მაშინის გამოყენება თავის საკუთარ მიზნებისთვის, მან ის ფაფდაჭირველათ უთუოთ უნდა გატეხოს, დაამტვრიოს, მარქსმა ნათლათ გვიჩვენა ეს თავის წინგში: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში." ბურჟუაზიული სახელმწიფოს თვისებას შეადგენდა მისი დამჩაგვრელი აპარატები: ჯარი, ჩინოვნიკობა, სატუსაღოები, პოლიცია და სხ. პროლეტარიატს უნდა გაეტეხა ყოველივე ეს. „კომუნა, მარქსის სიტყვით, რესპუბლიკის ისეთი ფორმა იყო, რომელსაც თავიდან უნდა აეშორებია კლასსობრივი ბატონობის არა თუ მონარქიული ფორმა, არამედ თვით კლასსობრივი ბატონობაც". „კომუნა უნდა ყოფილიყო არა პარლამენტარული (სალაპბო), არამედ სამუშაო კორპორაცია, ერთ და იმავე დროს კანონმდებელიც და კანონების აღმასრულებელიც... იმის მაგიერ, რომ ერთხელ სამი ან ექვსი წლის განმავლობაში გადაეწყვიტათ,, გაბატონე-

*) იხ. ნ. ლენინი. „სახელმწიფო და რევოლიუცია", რუს. გამოც., გვ. 23.

როგორც სახალხო გმირებს. დაბოლოს სასამართლომ გადაწყვიტა გადადოს საქმე „განუსაზღვრელ დრომდე“. „მოსამართლეებს უნდა ეთქვათ: „სამუდამოთ“—ირონიულათ შენიშნავს, „ფოსიშე ცეიტუნგი“.

ჩეხელი სოციალისტური ორგანო „პრაგს ლიდუ“ კი აცხადებს, რომ მუნის პროცესი დამთავრდა მთავრობისათვის „სამარცხვინოთ და სკანდალით“.

პრემია ბელაკუნის დამჭერისთვის

უნგრეთი. „დეილი ექსპრესი“ იტყობინება, რომ უნგრეთის გენერალური შტაბის უფროსმა გარდაუგზავნა ყველა საზღვარგარეთელ უნგრეთელ საზოგადოებებს ფარული ცირკულიარი, რომლის ძალით პრემია ,ბელა-კუნის დაკავებისათვის, მკვდარის თუ ცოცხალის, გადიდებულ იქმნება ერთი მეოთხედი მილიონ კრონამდის. („როსტა“).

ტერორისტული აქტები.

ისპანია. გაზეთი „ტანი“ აქვეყნებს მთელ რიგს ტერორისტული აქტებისა მარსელინაში და ვალენსიაში. (როსტა).

უნგრეთის ბოიკოტი.

ჰოლანდია. ამსტერდამიდან იტყობინებიან: „პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო სეკრეტარიატი, იმ რეზოლიუციების და მიხედვით, რომლებიც მიღებულ იქმნა ლონდონის მუშების მიერ უნგრეთში გამეფებულ თეთრ ტერორის წინააღმდეგ და რომლებიც წინადადებას იძლევიან გაწყვეტილ იქმნას ყოველივე კავშირი ამ ქვეყანასთან, მისი ,ძალი დანარჩენ ქვეყნებისგან იზოლიაციისთვის — გადაწყვიტა გაუგზავნოს ამის შესახებ ცირკულიარი სხვადასხვა ქვეყნების პროფესიონალურ კავშირებს. ბოიკოტის დაწყების დღე ცალკე იქმნება დანიშნული ამ კვირის განმავლობაში. (როსტა).

ახალი ამბები

ქ. სიღნაღში უკვე მოეწყო სიღნაღის სამაზრო კომუნისტური ბიურო, სადაც მიიღება სოფლის ამხანაგები დირექტივების მისაღებად ყოველ დღე. ბინა ჩხეიძის ქუჩა.

კომუნისტების დევნა. ქუთაისიდან გვწერენ: ლეჩხუმის მაზრაში არც ერთ კომუნისტს ერობა არ უშვებს. ვინც შევიდა ორგანიზაციების შესაქმნელად ყველა დაატიმრეს და ქუთ. საგ. ციხეში სხედან. სანდრო ქაჯაიასთან ერთად

ბული კლასისა რომელმა წევრმა უნდა წარმოადგინოს და დაჩაგროს ხალხი პარლამენტში, ამის მაგიერ საყოველთაო საარჩევნო უფლებას ხალხისათვის ის სამსახური უნდა გაეწია, რომ მისი საქმეებისათვის გამოენახა მუშები, ზედამხედველები, მოანგარიშეები და სხვ.“.

მარქსი აქ იძლევა პარლამენტარიზმის კლასიკურ დახასიათებას, მეორე მხრით აქვე იძლევა იგი პროლეტარული სახელმწიფოს დახასიათებასაც სოციალისტური რევოლიუციის ხანაში, ვიდ არ იქის დღეს, რომ პარლამენტი ყოველგან თვით უდემოკრატიულეს რესპუბლიკებშიაც კი გადაიქცა მარტო სალაყბოთ. საქმეები კეთდება ცალკე, კულისებს უკან. აიღეთ თუ გნებავთ მენშევიკების განთქმული პარლამენტი, ან როგორც გინდათ უწოდეთ მას, თუნდაც დამფუძნებელი კრება. თვით მენშევიკებიც ვერ ყოფენ უარს ამ ფაქტს, რომ დამფუძნებელი კრება ყველა პარლამენტზე დაბლა დგას, რომ ის კვდება ბუნებრივი სიკვდილით. დამფუძნებელი კრება საზოგადოთ რევოლიუციონური ბურჟუაზიის კერპი იყო ოდესღაც. მაშინ ბურჟუაზიას კიდევ შეეძლო ეთქვა, რომ ის რალაცას მართლა აფუძნებდა, მართალი რომ ვთქვათ, ის აფუძნებდა თავის ბატონობას, თავის დიქტატურას. მაგრამ მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრი წყალი დაიღვარა. რალას აფუძნებს მენშევიკების დამფუძნებელი კრება? არა მგონია, რომ ამ კითხვაზე რომელიმე მენშევიკმა, თუნდაც ისეთმა, როგორიც არის ბ-ნი დევდარიანი, დადებითი პასუხი გაგვცეს. რამდენიც არ უნდა იხტუნონ, მენშევიკები პარლამენტს ვერ გამოეთხოვებიან, და ისიც რა თქმა უნდა ბურჟუაზიულ პარლამენტს. ბურჟუაზიული პარლამენტი კი, არა თუ უმკირესობის, არამედ ერთ-ერთ ერთი მუჭა მუ.ოა-ხორათა ბატონობა ხალხის დიდ უმრავლესობაზე. ბურჟუაზიული რესპუბლიკის მაგიერ დემოკრატიულ რესპუბლიკის ხმარება არსებითად მდგომარეობას არ სცვლის.

ვ. ჩ—ძე.

ჩამოიყვანეს შვიდი ამხანაგი, რომლებიც მოათავსეს საგ. ციხეში. ციხეში გარდა ახალდაჭერილებისა სხედან აგრეთვე ძველებიც, კატორღელები, რომლებიც ხელშეკრულობის ძალით უნდა განთავისუფლებულიყვენ, მაგრამ ჯერაც არ გაუშვიათ.

— შაბათს, 26 ივნისს, საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია მეოთხე რაიონის საბჭოს კრება. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

— გამოვიდა ახალი ბროშიურა ქართულ ენაზე: **„ვინ არიან კომუნისტები (ბალშევიკები?)** გამომცემლობა: „წითელი ვარსკვლავი“. წიგნი სუფთათ არის გამოცემული და ღირს 3 მანეთი.

შეცდომის გასწორება.

— „საქართველოს კომუნისტის“ პირველ ნომერში მ. კასპიელის წერილში, მეორე სვეტზე, ზევიდან მერვე სტრიქონში სიტყვა „გაგრძელდას“-ს შემდეგ გამოგვრჩა შემდეგი: გათიშვით, დასრულდა ორ მტრულ ბანაკათ დაყოფით. რა იყო განხეთქილების მთავარი ღერძი? ბ. დევ-იანს „ხელს არ აძლევს“ ამის სისწორით მოთხრობა, ის არჩევს ამ მთავარი საკითხის მიფუჩუჩებას და მის ნაცვლათ მკითხველის ყურადღების გატყუებას „ნაცადი“ საშუალებით; ლენინი ჯერ კიდევ 1905 წ. თავაწყვეტილი, ავანტიურისტულათ სოციალისტური ნავით დასცურავდა და ახლა ხომ, რაღა თქმა უნდა, გიჟი ანარქისტი იქნებაო! ჩვენ მაინც გავიხსენოთ მოკლეთ მაშინდელი დავის მთავარი მუხლები. რუსეთის რევოლიუცია, რომლის პირველი ნიშნები 1904 წ. გამოჩნდა, რომ არ იქნებოდა სოციალისტური, ე. ი. ვერ დამთავრდებოდა პროლეტარული დიქტატურით სოციალისტურ წყობილების დასამყარებლათ, არამედ იქნებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული — ეს უდაო იყო როგორც ბალშევიკებისათვის, ისე მენშევიკებისათვის. პროლეტარიატი ჯერ კიდევ ვერ დაეუფლებოდა სახელმწიფოს, ვერ მიაღწევდა საკუთარი კლასის დიქტატურას სოციალისტ. გადატრიალების დასაგვირგვინებლათ. მენშევიკები აქედან ასკვნიდენ; მაშ თუ რევოლიუცია სოციალისტური არ არის, ის ბურჟუაზიულია; ბურჟუაზიული რევოლიუციის მამოძრავებელი და მოთავე უნდა იყოს ბურჟუაზია და არა მუშათა კლასი; პროლეტარიატმა არას შემთხვევაში არ უნდა ი თ ა ვ ო ს გეგმონია რევოლიუციაში, მან მხოლოთ დახმარება უნდა გაუწიოს ბურჟუაზიას, არ წავიდეს თავის მოთხოვნებში იმაზე შორს, რაც მისაღებია ბურჟუაზიისათვის, შეუთანხმდეს მას, ეცადოს მის მარცხნივ გადახრას, რათა დაითანხმოს მუშათა კლასისთვის სასარგებლო რეფორმების შემოღებაზე. ეს იყო მიმართულება ე. წ. „ხვოსტიზმის“, ბურჟუაზიის კუდში მაჩანჩალობის, რუსეთის სისხლ-ნაკლულ და ჯოჯო ბურჟუაზიის რევოლიუციონურ კლასათ გასაღების.

დეპეშები

(საქარ. დეპ. სააგ.)

მოსკოვი 23 ივნ. რუმინიის რკინის გზის სახელოსნოებში გაფიცვები გრძელდება. გაფიცულ მუშებს შტრეიკბეხერებთან სისხლის მღვრელი შეტაკებანი ქონდათ. კორეიაში ღვივდება რევოლიუციონური მოძრაობა. მოსამსახურე იაპონელები ტერორისტულ აქტების მსხვერპლნი ხდებიან.

ორენბურგი. შრომის ბეგარისათვის 15-დან 50 წლამდე მთელი მცხოვრებლების აღწერა მოახდინეს.

რუსეთი და ინგლისი.

კავკავი. „კომუნისტს“ მოსკოვიდან გადმოცემული შემდეგი ოფიციალური ცნობა მოჰყავს: გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ლონდონიდან კრასინისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „დღეს ჩემთან იყო უელსი და ლოიდ ჯორჯის სახელით ოფიციალურად გამომმიცხადა შემდეგი: „დიდ-ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ გენერალმა ვრანგელმა თქვენს წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო. ვრანგელის გამოსვლები ეწინააღმდეგება გეგმას და რჩევ-ლიც ამიტომ მისი მოქმედებაში პასუხისმგებელი არ არის. მიცემულია ინსტრუქციები რომ ვრანგელს არ მიეცეს დახმარება“.

კონსტანტინოპოლი. „ვეჩერნაია პრესა“ იტყობინება: მიღებულ ცნობების თანახმად მიღებულია ზომები თეირანის ევაკუაციისათვის. მთავრობა უცხოელთა პირადი ქონების ხელშეუხებლობის დასაცავად ზრუნავსო.

ნერილი მეტეხის სატუსაღოდან № 2.

23 მაისს დილის ექვს საათზე ბინაზე განსაკუთრებული რაზმის თანაშემწეებმა დაგვატუსაღეს რაზმის უფროსის განკარგულებით.

სახლში ჩხრეკის დროს არავითარი საწინააღმდეგო რამ არ აღმოუჩენიათ. წამოგვიყენეს შემდეგი ბრალდება (მომყავს შეუცვლელად დადგენილება).

1920 წ. 23 ივნისი, ქ. თბილისი, მე, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის უფროსმა, მივიღე რა მხედველობაში, რომ გრიგოლი და ნიკო როსტომის ძე კიკნაძეები და სერაფიონ თეოფილეს ძე ლომიძე (ლომიძე წინა დღით იყო დატუსაღებული) ბრალდებათ ფარული აგიტაციის გაწევა მოქალაქეთა შორის და ჯარში ქადაგება მობილიზაციის და მთავრობის წინააღმდეგ, კავშირი ოსების ამბოხებასთან და სხვა არა ლეგალური მუშაობა, დავადგინე: ზემოაღნიშნულნი პირნი დაპატიმრებულ იქმნან საგუბერნიო № 2 საპყრობილეში, ჩარიცხვით შინაგან საქმეთა მინისტრზე, რაც გამოეცხადოს დაპატიმრებულთ. ასული დადგენილებისა გაეგზავნოს №2 საპყრობილის უფროს ტუსაღით, შესასრულებლად, ოლქის სასამართლოს პროკურორს ცნობისათვის, შინაგან საქმეთა მინისტრს მთელი წარმოების წარდგენით განკარგულებისათვის.

ნამდვილზე ხელი მოაწერა განსაკუთრებული რაზმის უფროსმა კედიამ.

დედანთან სწორია: საქმის მწარმოებელი X. X.

როგორც სჩანს ოქმიდან, ჩვენს წინააღმდეგ მრავალი ბრალდებანი არის წამოყენებული და ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია ყველა ბრალდებანი — უარ ვყო ფაქტების საშუალებით, რათა ფარდა აეხადოს კედიას და მის თანამშრომლების უსინდისო პროვაკაციულ, ძველი დროის ხრიკებს: ყოვლისად პირველისა უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ გაგვანთავისუფლეს 14 მაისს ქუთაისის ციხიდან ხელზეკრულების ძალით რუსეთთან, და მაისის 25-დან გაველი სამუშაოდ ძველ ადგილზე (ელექტრონის სადგურზე, რომელიც ეკუთვნის მიწათ მოქმედების სამინისტროს, სადაც დღემდე ვმუშაობდი მუდამ, დილის 8 საათ.—4 საათამდე და ამ ფაქტის შემდეგ ის ბრალდება, ვითომდა მე რაიმე კავშირი მქონოდეს ოსეთის ამბოხებასთან, რომელიც დაიწყო დაახლოებით 5 თუ 7 მაისიდან, ბრალმდებელნი ყოვლად დაცემულნი და სულმდაბალნი უნდა იყვნენ, რომ ჩემს წინააღმდეგ ეს ბრალდება კვლავ გაიმეორონ.

ფარული აგიტაცია მოქალაქეთა შორის და ჯარში, ქადაგება მობილიზაციის წინააღმდეგ; მობილიზაციის წინააღმდეგ თუ კი რამეს დავიწყებდი, მე მგონი ჯერ უნდა ჩემგნით დამეწყო, რადგან გაწვეულთა წლოვანებათა შორის მეც მოვყევი და ეს ვალი სინდისიერად მოვიხადე, რადგან დროზე გამოვცხადდი სამხედრო უფროსთან და შესაფერი მოწმობაც ავიღე, აგიტაციის გაწვევა ჯარის-კაცთა შორის კი უთუოდ რომელიმე აგენტს დაესიზმრა, თორემ სხვა რამით შეუძლებელია მისი ახსნა, რადგან არამც თუ ჯარის ნაწილებში ვყოფილვარ როდისმე, არამედ კერძო ჯარის-კაცებთანაც კი არ მქონია რაიმე საქმე, რაც შეეხება არა-ლეგალურ მუშაობას, ბატონ კედიას აგენტებმა უნდა კარგად იცოდენ (რადგან ისინი ესწრებიან ხოლმე), რომ მე საკმარისად ბევრი საქმე მქონდა ლეგალურ მუშაობისათვის, მრავალ კრებებს დავსწრებივარ და ჩემი შეხედულება გამომითქვამს აშკარად ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც კი ჩემ მსოფლმხედველობით შემცდარ გზას ადგნენ და ადგანან ახლაც დღევანდელ მომენტში. ასე რომ არალეგალურ მუშაობას სრულებით არ ვსაჭიროებდი, მით უმეტეს, ლიც ამიტომ მისი მოქმედებაში პასუხისმგებელი არ არის. მიცემულია ინსტრუქციები რომ ვრანგელს არ მიეცეს დახმარება“.

კონსტანტინოპოლი. „ვეჩერნაია პრესა“ იტყობინება: მიღებულ ცნობების თანახმად მიღებულია ზომები თეირანის ევაკუაციისათვის. მთავრობა უცხოელთა პირადი ქონების ხელშეუხებლობის დასაცავად ზრუნავსო.

ნერილი მეტეხის სატუსაღოდან № 2.

23 მაისს დილის ექვს საათზე ბინაზე განსაკუთრებული რაზმის თანაშემწეებმა დაგვატუსაღეს რაზმის უფროსის განკარგულებით.

სახლში ჩხრეკის დროს არავითარი საწინააღმდეგო რამ არ აღმოუჩენიათ. წამოგვიყენეს შემდეგი ბრალდება (მომყავს შეუცვლელად დადგენილება).

1920 წ. 23 ივნისი, ქ. თბილისი, მე, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის უფროსმა, მივიღე რა მხედველობაში, რომ გრიგოლი და ნიკო როსტომის ძე კიკნაძეები და სერაფიონ თეოფილეს ძე ლომიძე (ლომიძე წინა დღით იყო დატუსაღებული) ბრალდებათ ფარული აგიტაციის გაწევა მოქალაქეთა შორის და ჯარში ქადაგება მობილიზაციის და მთავრობის წინააღმდეგ, კავშირი ოსების ამბოხებასთან და სხვა არა ლეგალური მუშაობა, დავადგინე: ზემოაღნიშნულნი პირნი დაპატიმრებულ იქმნან საგუბერნიო № 2 საპყრობილეში, ჩარიცხვით შინაგან საქმეთა მინისტრზე, რაც გამოეცხადოს დაპატიმრებულთ. ასული დადგენილებისა გაეგზავნოს №2 საპყრობილის უფროს ტუსაღით, შესასრულებლად, ოლქის სასამართლოს პროკურორს ცნობისათვის, შინაგან საქმეთა მინისტრს მთელი წარმოების წარდგენით განკარგულებისათვის.

ნამდვილზე ხელი მოაწერა განსაკუთრებული რაზმის უფროსმა კედიამ.

დედანთან სწორია: საქმის მწარმოებელი X. X.

როგორც სჩანს ოქმიდან, ჩვენს წინააღმდეგ მრავალი ბრალდებანი არის წამოყენებული და ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია ყველა ბრალდებანი — უარ ვყო ფაქტების საშუალებით, რათა ფარდა აეხადოს კედიას და მის თანამშრომლების უსინდისო პროვაკაციულ, ძველი დროის ხრიკებს: ყოვლისად პირველისა უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ გაგვანთავისუფლეს 14 მაისს ქუთაისის ციხიდან ხელზეკრულების ძალით რუსეთთან, და მაისის 25-დან გაველი სამუშაოდ ძველ ადგილზე (ელექტრონის სადგურზე, რომელიც ეკუთვნის მიწათ მოქმედების სამინისტროს, სადაც დღემდე ვმუშაობდი მუდამ, დილის 8 საათ.—4 საათამდე და ამ ფაქტის შემდეგ ის ბრალდება, ვითომდა მე რაიმე კავშირი მქონოდეს ოსეთის ამბოხებასთან, რომელიც დაიწყო დაახლოებით 5 თუ 7 მაისიდან, ბრალმდებელნი ყოვლად დაცემულნი და სულმდაბალნი უნდა იყვნენ, რომ ჩემს წინააღმდეგ ეს ბრალდება კვლავ გაიმეორონ.

ფარული აგიტაცია მოქალაქეთა შორის და ჯარში, ქადაგება მობილიზაციის წინააღმდეგ; მობილიზაციის წინააღმდეგ თუ კი რამეს დავიწყებდი, მე მგონი ჯერ უნდა ჩემგნით დამეწყო, რადგან გაწვეულთა წლოვანებათა შორის მეც მოვყევი და ეს ვალი სინდისიერად მოვიხადე, რადგან დროზე გამოვცხადდი სამხედრო უფროსთან და შესაფერი მოწმობაც ავიღე, აგიტაციის გაწვევა ჯარის-კაცთა შორის კი უთუოდ რომელიმე აგენტს დაესიზმრა, თორემ სხვა რამით შეუძლებელია მისი ახსნა, რადგან არამც თუ ჯარის ნაწილებში ვყოფილვარ როდისმე, არამედ კერძო ჯარის-კაცებთანაც კი არ მქონია რაიმე საქმე, რაც შეეხება არა-ლეგალურ მუშაობას, ბატონ კედიას აგენტებმა უნდა კარგად იცოდენ (რადგან ისინი ესწრებიან ხოლმე), რომ მე საკმარისად ბევრი საქმე მქონდა ლეგალურ მუშაობისათვის, მრავალ კრებებს დავსწრებივარ და ჩემი შეხედულება გამომითქვამს აშკარად ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც კი ჩემ მსოფლმხედველობით შემცდარ გზას ადგნენ და ადგანან ახლაც დღევანდელ მომენტში. ასე რომ არალეგალურ მუშაობას სრულებით არ ვსაჭიროებდი, მით უმეტეს, არსებობის უფლება აქვს და მასთან ერთად პროპაგანდა აგიტაციისაც და ამ უფლებას ჩვენ ვეცდებით გამოვიყენოთ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

„მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვისაო“, აქ რალაც გაუგებრობა სუფევს ჩემთვის. თითქმის შესაფერივე ბრალდებები წამოაყენეს ჩემს წინააღმდეგ „ბორბამ“ და „ერთობამ“ ჩემი მისალმების შესახებ კიროვისადმი (ამის შესაფერი პასუხი გავეცი „ბორბას“). ან როდესაც „ბორბას“ და „ერთობას“ თანამშრომლები იმუშავებდნენ ჩემს წინააღმდეგ წერილს, კედიაც იღებდა მონაწილეობას და ამიტომ მანაც დასატუსაღებლად შესაფერისი ბრალდება წამომიყენა, ან და კედიას „სოვეტით“ იყო დაწერილი წერილები ჩემს წინააღმდეგ. ერთ ადგილს ოქმში ნათქვამია, რომ ასული დადგენილებისა მთელი წარმოების წარედგინოს შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულებისათვის. ძალიან კარგს იზამდა ბატონი მინისტრი თუ გამოამჟღავნებდა ყველა კედიას შეთითხნილ ბრალდებებს.

გიგო კიკნაძის წინააღმდეგ წამოყენება ყველა ზემოხსენებულ ბრალდებისა მოკლებულია აგრეთვე სამართლეს, რადგან, ჯერ ერთი, რომ 4 ივნისიდგან მან მგზავრები წაიყვანა ვლადიკავკაზში, დაბრუნდა მხოლოდ 14 ივლის რუსეთის მისიასთან ერთად. ამის დასამტკიცებელი საბუთები შეეძლო ბატონ კედიას და მის დამქაშებს მიეღოთ ყაზბეგის საბჭოდგან, სადაც რჩება პროტუსკები. ასე რომ აჯანყების დროს ოსეთზე, გ. კიკნაძე სულ არ ყოფილა აქ და მაშასადამე ყოველივე ბრალდებანი როგორც ფარული აგიტაცია ჯარში, მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება და სხვა და სხვა, მოკლებულია ყოველივე სიმართლეს. გ. კიკნაძის წინააღმდეგ ამ ბრალდებების წამოყენება აიხსნება იმით, რომ როდესაც 20 თებერვალს დაატყვევეს იგი, ჩამოართვეს ავტომობილი, რომელიც დღესაც კედიას განკარგულებაში არის. გ. კიკნაძემ არ დატოვა არც ერთი არსებული დაწესებულება, რომლისთვისაც არ მიემართოს ამ ყოვლად უკანონო მოქმედებისათვის, მაგრამ საუბედუროდ არც ერთმა დაწესებულებამ პასუხი არ გასცა და აი ბატონმა კედიამ კვლავ მეტეხში ამოაყოფინა თავი, რათა უფრო თავისუფლათ ისარგებლოს უსინდისოთ მოტაცებულ და მითვისებულ ავტომობილით. სარაფიონ ლომიძე და პავლე მარდალეიშვილი აგრეთვე უარყოფენ ყოველივე ბრალდებებს და მზათ არიან დაამტკიცონ თვით მენშევიკების მოწმეებით, რომ ისინი აქ ყოფნის დროს არსად არ წასულა და მაშასადამე ოსეთის ამბოხებასთანაც არავითარი კავშირი არ ჰქონებიან. დატყვევების მიზეზი ის უნდა იყოს, რომ როდესაც ბატონმა კედიამ თავდასხმა მოახდინა ჩვენს რედაქციაზე, კედიამ ყველას პირობა ჩამოართვა ხელის მოწერით, რომ ყველა იქ მყოფნი სამი დღის შემდეგ უნდა გასულიყვნენ საქართველოს საზღვრებიდან. ამაზე ლომიძე და მარდალეიშვილი აცხადებენ, რომ არ დატოვეს საზღვრები, რადგან ამ კითხვის შესახებ სწარმოებდა მოლაპარაკება, რომლის შედეგი იყო შეცვლა გადაწყვეტილებისა, რომელიც იყო მოთავსებული გაზ. „საქართველოს კომუნისტში“. და ჩვენც ვისარგებლეთ რა ამ გადაწყვეტილებით, აღარ გაველით საქართველოს საზღვრებიდან.

დასასრულ უნდა აღვნიშნო საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ბატონ კედიას ახალი მეთოდისათვის მიუმართავს კომუნისტების დასატყვევებლათ: ყველას ოსეთის ამბოხებაში მონაწილეობას აბრალებს, ყველა აქ დატყვევებულ კომუნისტებს ერთი და იგივე ოქმები აქვთ შედგენილი. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რას გამოიგონებს ბატონი კედია შემდეგისათვის ბრალსადებათ, რადგან ოსეთის ამბოხება შეიძლება დასრულებულათ ჩაითვალოს.

აღვნიშნავთ რა ზემო მოყვანილ ბრალდებებს, და ფაქტებს მის წინააღმდეგ, ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი პროტესტს ვაცხადებთ ჩვენი ყოვლად უსაბუთოდ დატყვევებისათვის და მოვითხოვთ ჩვენს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას*).

ნიკო კიკნაძე, გიგო კიკნაძე, სერაპიონ ლომიძე, სანდრო იაშვილი, გალაქტიონ ბარდაველიძე, სერგო მეგრელიშვილი, პავლე მარდალეიშვილი.

---

*) დაწყვეტილი გადასახლება და ისიც ამ ბოლო დროს ჩვენთან ერთად იყო დატუსაღებული, რომელიც გაანთავისუფლეს სამი დღით, რის შემდეგ უნდა და-

საბჭოთა საელჩო ამერიკაში

ამერიკიდან მოსკოვში დაბრუნდა ერთი წარმომადგენელთაგანი საბჭოთა საელჩოსა ამერიკაში ამხ. ფედოტოვი, რომელიც იქ მუშაობდა ამ. მარტენსთან ერთად, დღიდან საელჩოს დაარსებისა.

ამ. ფედოტოვი მონაწილეობას იღებს ამერიკულ მუშათა მოძრაობაში შედარებით დიდი ხანია, იყო მდივანი „დოკზე“ მომუშავეთა კავშირისა და ერთ-ერთ შესანიშნავი წევრი რუს სოციალისტთა ფედერაციისა... ამერიკულ მუშათა მოძრაობაში თავისი მოღვაწეობისათვის ამხ. ფედოტოვს, სხვათა შორის, მისჯილი ქონდა ამერიკულ სასამართლოს მიერ 10 წლის კატორღა.

„როსტა“ს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ფედოტოვმა შემდეგი სთქვა:

„თუ კი ოქტომბრის რევოლიუცია იყო პირველი ყუმბარა, გადმოსროლილი ამერიკის მუშათა მასების შეგნებაში, მეორე ყუმბარის დანიშნულება საბჭოთა წარმომადგენლობის დანიშვნამ შეასრულა. ამ ამბავმა შეანძრია ყველა მუშათა ორგანიზაციები; ჩვენმა საელჩომ თავისი დაარსების პირველივე დღიდანვე მოიხვეჭა დიდი ავტორიტეტი და პოპულიარობა მუშათა მასებში.

შეინძრენ აგრეთვე ამერიკის კაპიტალისტთა წრეებიც, მის შემდეგ, რაც ამ. მარტენსმა განაცხადა, რომ მას მინდობილი აქვს სავაჭრო ხელშეკრულებები დაასდოს ამერიკულ კაპიტალთან.

და აი საბჭოთა ბიუროში დაიწყო დენა ათასობით განცხადებებმა სხვა და სხვა ფირმებიდან. გვპირდებოდენ დიდი პარტიებს სამეურნეო მაშინებისა, პარაგოზებისა, ვაგონებისა, სტანკებისა, ფეხსაცმელებისა და სხ.

მწარმოებლები დათანხმდნენ დაედვათ ხელშეკრულებანი რუსეთში მანქანების მიტანაზე ნედლის მასალის და ოქროს გაცვლით; მაგრამ პირობები გადაზიდვის მეტად გაძნელდა ბლოკადის გამო.

მრავალი მწარმოებელთა ორგანიზაციები მოითხოვდენ ამერიკის მთავრობიდან თავისუფალ ვაჭრობის საბჭოთა რუსეთთან და ბლოკადის მოხსნას.

ბევრი კაპიტალისტები უცდიდენ ბლოკადის ოფიციალურათ მოხსნას და გარანტიას ამერიკულ მთავრობიდან საქონლის შეეუფერხებლივ გატანაზე რუსეთში.

მიუხედავათ იმისა, რომ ოფიციალურათ ვითომცდა ბლოკადა მოხსნილიც არის, ამერიკული მთავრობა მაინც არ იძლევა არავითარ გარანტიას. მაგრამ ბევრი საქონელი მაინც იგზავნება და ზოგიერთი მათგანი გემებით ამ მოკლე ხანში უნდა მოვიდეს ესტონიის ნავთსადგურებში. ამერიკულ ფირმებთან მოლაპარაკების გარდა, საბჭოთა წარმომადგენლობამ ხელი მოკიდა ორგანიზაციას ცენიკური დახმარებისა რუსეთისთვის. მოწყობილი იქმნა განსაკუთრებული ტეხნიკური განყოფილება, სადაც ეწერებოდნენ სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები რუსეთში გასაგზავნათ. ამ განყოფილებამ მოაწყო ამერიკის სხვა და სხვა ადგილებში მთელი რიგი საზოგადოებებისა—რუსეთისადმი ტეხნიკური დახმარებისა; აგრეთვე მოწოდებით მიმართა ამერიკულ მუშებს და ტეხნიკებს წასულიყვნენ რუსეთში: ასეთი საზოგადოებები ამერიკაში ახლა ასამდის არის, რომლების წევრთა საერთო რიცხვი 10000 აღემატება.

ზოგიერთ საზოგადოებებს აზრათ აქვთ გამოგზავნონ რუსეთში არა მარტო ცოცხალი მუშა ძალა, არამედ ამა თუ იმ წარმოების მთელი დარგი—ცოცხალი და მკვდარი ინვენტარითურთ. ეწყობა მრავალი არტელები რუსეთში საემიგრაციოთ—თავისი მანქანებით ინსტრუმენტებით. გამომუშავებულია პროექტი ყიდვისა ამერიკაში სხვა და სხვა ფაბრიკა-ქარხნებისა, სადაც ერთი მხრივ, შესაძლებელი იქნება მატერიალების და ინსტრუმენტების დამზადება საბჭოთა რუსეთისათვის და, მეორე მხრივ, მომზადება სპეციალისტებისა და ინსტრუქტორებისა, რომელნიც თვით იმუშავე-

ბენ იმ მაშინებზე, რომლებიც გაიგზავნებიან საბჭოთა რუსეთში. მოწყობილია აგრეთვე რამოდენიმე ტეხნიკური სკოლები—ლოკომოტივებისა, ტრაქტორებისა და სხვ. ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებათ საბჭოთა წარმომადგენლობისა ამერიკაში იყო, ფართე და ჭეშმარიტი ინფორმაცია საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის შესახებ ამერიკულ მუშებში, გამოაშკარავება იმ ჭორებისა და ცილისწამებისა, რომლებსაც დღითი დღე ავრცელებდენ ბურჟუაზიული ჟურნალისტები ამერიკაში.

გამოდის ჟურნალი „საბჭოთა რუსეთი“, რომელსაც დიდი პოპულიარობა აქვს ამერიკის მუშათა ფართო მასებში“.

(„პრავდა“).

ᲐᲦᲗᲥᲛᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

1

სამყარო ბურუსში გახვეულიყო. ცას პირი არ უჩანდა, მაგრამ ამომავალი მზის შემოტორკლნილს, მკვეთრ სხივებს თითქო გამოეპო ბნელი სივრცე.

...ჩემამდის მოაღწია მან; წყვდიადით მოცულს ჩემს ირგვლივ მდებარე ამე-მარეს სინათლე მოჰფინა; ჩემს გაცივებულ სულსა და გულს სიცრმეში ჩაწვდა...

გავთბი მე...

ავმოძრავდი...

...მე ვამჩნევ: როგორ ინგრევა, კვდება, რაც დღევანდლამდის არსებობდა; ხოლო იქმნება, შენდება ის, რაც არ არსებობდა, რასაც დღევანდლამდის ადგილი არ ჰქონია კაცთა შორის.

მე ვხედავ: ადამიანთა არსებობის ჩვეული, უსიცოცხლო, მკრთალი ცხოვრების სურათები როგორ შეიცვალენ...

უფსკრულისაკენ დაქანებულ ძველ ქვეყანას როგორ უპირდაპირდება ახალი ქვეყანა;—უკანასკნელი როგორ ცდილობს დაიჭიროს მომაკვდავ „პირველის“ ადგილი.

...მე ვგრძნობ, მე ვატყობ: ყველანი ვერ შერიგებიან ამ სურათს; ვერ შერიგებიან ისინიც, რომლებიც „არსებულით“, „ძველით“ კმაყოფილნი არ იყვნენ; არ მოსწონთ, ვერ შეთვისებიან და პირიქით ემზადებიან მის განადგურებისა [illegible] ამათგანი, რომლებიც [illegible] ინიციატორ[illegible] ავნ. სირ[illegible]ბიც დღევანდლამდის ამ უჩვეულო, აღთქმულ ახალ ქვეყნისაკენ შეუჩერებლივ სვლას განაგრძობდენ,—მისთვის აღმართულ სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე თავს დებდენ.

მე კი მახარებს ყოველივე ეს...

მე კი ვერ ვისვენებ...

მე კი ველარ ვიცდი ძველ ადგილას!..

გამუდმებით მსრბოლავ ჩემს სულში დასადგურებული იდუმალი, მაგრამ რაღაც ნაცნობი, ნათესავი ძალა დაუყონებლივის მსვლელობით მიმეზიდება იქით... არც ისე შორს... წინ! წინ!..

2

...ალარავის, ალარავის ალარ უხედავ მე უკან!—

მივქრიავარ...

...აი იქ, წინ მომელოდება მე აყვავებული ველი, გულ-სულის მაამებელი სურნელოვანი მდელო; აი, იქ უცდიან ჩემს მოსვლას მოციაგე, ცის წიაღში აცისკროვნებული, ბუნების მდიდარი ცხოველ-მყოფელი კალთები.

3

...მე გავსცილდი მკვდარ წერტილს. მე ჩავერიე კიდეც,—მონაწილეობას ვღებულობ იმ ამოჭრილ მძაფრ გრიგალში, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის ერთმანეთთან დაპირდაპირებას წარმოუშვია, რომელიც მათ ჭიდილში დაბადებულა, გაზრდილა...

მე მიყვარს სიცოცხლე!..

მე მიყვარს მოძრაობა, მიყვარს სინათლის მტრებთან დაუნდობელი, შეურიგებელი ბრძოლა, ბრძოლა, რომელიც ადასტურებს, რომ მე ვარსებობ; რომელიც ამტკიცებს, ნათელს ყოფს იმას, რომ მე მაქვს საკუთარი ინტერესები, მაქვს საკუთარი ქვეყანა, ამ ქვეყნისაკენ სავლელი საკუთარი გზაც.

...არა! მე არ დავერიდები მოპირდაპირეებს!

მე არ შეუშინდები მტრებს!..

გამუდმებულმა ტკივილებმა, გამუდმებულმა მწუხარებამ, ძველი ქვეყნის მიერ მოძღვნილმა,—მე შემაყვარა აღელვებული ზღვა, აზვირთებული, მოუსვენარი მისი ტალღები...

აქ იმსხვრევა გაბატონებულთა მიერ გაჭედილი ჩემი ბორკილები; აქ, ამ ნამსხვრევებზე შენდება ჩემი აღთქმის ახალი ქვეყანა.

... მე შეურიგდი დოსტაქრის ხელს, რომელიც განკურნების პროცესში, გასკეცებულ ტკივილებს მანახვებს ხოლმე.

4.

აი, იქ!..

... როგორ დაუპირდაპირდა ძველი და ახალი ქვეყანა ერთმანეთს! როგორ აიღეს მათ ხელებში ცეცხლი და მახვილი ერთი მეორის დამწველი, ერთი მეორის მომსპობი, განმანადგურებელი!.. როგორ მოაქვს მას დამარცხება, გაქრობა, სიკვდილი პირველისთვის; შვება სიცოცხლე და ნეტარება უკანასკნელისთვის...

... მივეშველოთ მას,—ახალ ქვეყანას, ჩვენს ქვეყანას!..

ნუ დავინდობთ, არა რათ ვაქციოთ სუსხის მაჩვენებელი, ტკივილების შემყრელი ძველი ქვეყანა!..

... იმან, იმან არ ამოგვიშრო ჩვენ სიცოცხლე?!: იმან არ ამოგვიწურა ჰაერი,—მოგვწყვიტა ცხოვრებას, მიგვცა ჩვენ სიკვდილს, დაუსრულებელ სიკვდილს?!.

5.

... რატომ, რატომ სდუმან ისინი?—ჩემი გუშინდელი მეგობრები, გუშინდელი ამხანაგები!..

რატომ ასე უმოძრაოთ ქმნილან, გასცქერიან ჩვეული ქვეყნის აღმხატველ უსიცოცხლო შავ წერტილს ის ჩემი გუშინდელი გზის მაჩვენებლები, ჩემი აღმზრდელი, დამავაჟკაცებელი მასწავლებლები?!.

... დავიჯერო, რომ ისინი არ ამჩნევენ ამ ახალ ქვეყანას,—ჩვენს სიცოცხლეს, ჩვენს ნეტარებას!?.

ნუ თუ მართლა არა ხედავენ ისინი,—მომაკვდავ, არ ყოფნისაკენ დაქანებულ ძველ ქვეყანას, უკანასკნელათ რომ შემოუკრებია ძალ-ღონე, თავის გამხმარ უსიცოცხლო ხელებში რომ ცდილობს ახალი ქვეყანა მოიგდოს, ჩაახრჩოს!.. და აქ კვლავ შავი ღრუბლებით შემოსოს ცა, დააბნელოს მზე. ვარსკვლავები—გაეხვიოს წყვდიადში და იბატონოს ასე, გაციებულმა, უგულოთ ქმნილმა,—რომ ისევ განაგრძოს ადამიანთა მუდმივი წამება!..

6.

... რატომ ასე დაეინებით მეწევიან [illegible]!?.

[illegible] ისინი, [illegible] რისთვის? რატომ [illegible] რომ მომახედვინოს უკან, შემაჩერონ, დამაშორონ თითქმის უკვე მიღწეულ ახალი ქვეყნის პირს!?.

იმიტომ ხომ არა, რომ დავაგვიანო ვერ მიუსწრო, და ახალი ქვეყნის სახსნელათ გაწვდილი ხელები დროზე ვერ ჩავჭიდო!..

იგი ხომ მაცოცხლებელია ჩემი!

... მაცოცხლებელი იყო იმათიც!

7.

აი, ის!..

... ამას რას ვხედავ!?.

ნუ თუ ეს ისინი არიან!!!

... იქ ხომ სიცოცხლის მომსპობი ცეცლი გიზგიზებს ძველი ქვეყნის ბატონების მიერ დანთებული! იქ ხომ ბანაკია, შავი ბანაკი ახალი ქვეყნის მტრების!!!

8.

... გამომელია ენერგია, რომელიც იქითკენ იყო მიმართული, რომ ისინი,—ჩემი გუშინდელი ამხანაგები,—როგორმე შემომებრუნებია...

მე ალარ ვიკვებები ნუგეშით...

მომიკვდა იმედი, მათი გამოსწორება—გამომრთელების...

მე ალარ ველი მათგან კვლავ ძველებურათ გვერდში ამოდგომას,—შემიმსუბუქოს ტკივილები მსოფლიოს დაბადების წინ საერთოთ მოძღვნილი.

...მე განვლე ბარდ და ეკლებით მოფენილი მძიმე გზები, და აქ,—გუშინწინ,—ამ გზაზე ჩემთან ერთათ მომავალი თუ ვინმე გუშინ შედრკა, შეჩერდა ნებით,—...დღეს მე ისათთან ალარ მაკავშირებს ალარაფერი...

საბრალონი!!!.

...მაგრამ ჩემს ნორჩ, მრავალის განმცდელ სათუთ გულში დღეს უკვე ალარ იხატება ეს სიბრალული მათდამი...

9

...სრულებით მოვწყდი ძველ ქვეყანას, ალარა მსურს ვიხილო კვლავ მის სივრცეში ირგვლივ აღმართული ყოფნის საშინელი სურათი...

...ველარა, ველარ ვიგონებ მას,—მტრების და ორგულების საბატონო—საწიწკნს!..

ალარ მინდა შეურიგდე მე მის გულში აღმოცენებულ მჭკნარ, უსიცოცხლო ბუნების კალთებს,—მტრებისგან დამწვარს, მტრებისგან გადამხმარს...

...მე ახალი ქვეყნისაკენ ვესწრაფვი!

...მე მოუვლი მის ნოყიერ ზედა პირს, მე თითონ მოვაშენებ, ავაყვავებ მას; შევქმნი ზედ წარმტაც სიცოცხლეს, ნეტარების გამომხატველ სიხარულს, ტკბილ ღიმებს.

მე შევმოლავ მას ჩემს სამართლიან შრომაში დაბადებულ და გაფურჩქვნილ ბუნების სიმშვენიერით...

სევასტი მთსსპირელი.

ᲒᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

პროექტი ხარჯთაღრიცხვისა ნახევარი წლისათვის 1920 წელს.

თუ წლის მეორე ნახევარში—პირველ ივლისიდან 21 წლის პირველ მაისამდე—კასის მონაწილეთა რიცხვი 4,500 უდრის (კასსა მუდმივათ ზრდის პროცესშია, მასში სულ ახალ-ახალი საწარმოვ[illegible] დაწესებულებები შედიან, რო[illegible] მელთა რიცხვი 20[illegible] [illegible]ამდე უკვე 384-დან 2,736-ზე ავიდა), რომელთაგან ქალები 40 პროც. შეადგენენ, ე. ი. 1,800 კაცი. (1 აპრილს უკვე ქალთა რიცხვი დაახლოვებით საერთო რიცხვის 50 პროც. შეადგენდა, მაგრამ შემდეგ პერიოდში მათი რაოდენობა ნაკლებია, რადგან იმ დაწესებულებათა უმეტესობა, სადაც ქალის შრომა იხმარება, მაგ. თამბაქოს წარმოება, საფეიქრო, კარობკებისა და გილზების დამმზადებელი სახელოსნოები, უკვე კასის მონაწილეები გახდენო), ხოლო მამაკაცები 2,700-ია.

ქალების დღიური სამუშაო ქირა საშუალოთი 90 მან: (120, 100, 80,60). 1,800 მუშა ქალის ქირა სულ შეადგენს,1,800×90=162,000 მან, ამასთან მეპატრონეთაგან დღიური შემოსატანის და გადასახადის რაოდენობაც 5 პროც. (2 ნახევარი და 2 ნახევარი) სულ 8,100 მან. დღეში, ეს არის განსახილველ პერიოდის პირველ ივლისიდან 21 წლის პირველ მაისამდე. თუ სამუშაო დღეს წელიწადში 150 ჩავთვლით, აქედან მივიღებთ სულ 8,100×150=1,215,000 მ. მამა კაცის სამუშაო ქირა საშუალოთ არის 120 მ. (აღებულია მინიმალური ქირა სხვა და სხვა კატეგორიებისა, 200, 174, 153, 120, 60. აქედან საშუალო ქირა 152 მ. 33 კ.) ×2,700=სულ სამუშაო ქირა დღეში შედგება=324,000; შემოსატანი და გადასახადი დღეში 5 პროც. მიუმატოთ, =16,200 მან. სულ აღნიშნულ პერიოდში შედგება 2,730,000 მან. საერთოთ ქალებზე და მამა კაცებზე შემოსატანი და გადასახადი ჯამი, ე. ი. კასის შემოსავალი მომავალი წლის 1 იანვრამდე შედგება—3,645,000 მ.

კასის გასასავალი ავათმყოფ ქალებზე დახარჯული საზოგადოთ.

მუშა ქალია სულ 1,800. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აღნიშნულ პერიოდში თვითეული მათგანი შეიძლება ავათ გახდეს 4ჯერ, ე. ი. სულ ყველა 7,200 ჯერ, დღიური საშუალო დახმარება ეთანასწორება 67,50 კ. (სამი მეოთხედი 90 მანეთის×7.200. აქედან გასავალი სულ იქნება 486,000 მ.

მშობიარობაზე დახარჯული

სულ 40 შემთხვევაა. (1087 ქალთა შორის 3 თვის განმავლობაში 15 ასეთი შემთხვევა იყო) 48 დღის ხარჯი (2 კვირა მშობიარობამდე და 6 კვირა შემდეგ) სულ შედგება 1920 დღე, დღეში 90 მ. (დახმარებათ ეძლევა მთელი დღის ქირა) და თუ საშუალოთ 100 მ. ავიღებთ, 1920×100=192,000. აქედან სულ ქალებზე ნახარჯი ნახევარი წლის განმავლობაში შედგება=678,000 მ., და აქედან სამუშაო დღეთა რიცხვიდან თვითეულ ქალზე 5 დღე აკლდება.

ავათმყოფ მუშა მამა-კაცებზე იხარჯება.

თვითეულ მუშაზე 4,7 დღისა×2,700 =12,600 დღე, საშუალოთ 13,000 დღე. დახმარება დღეში ეძლევათ თვითეულზე საშუალოთ 90 მ. (სამი მეოთხედი 120 მ.)=1,1700 მ.

უბედური შემთხვევები.

მომეტებულ შემთხვევაში უბედური დღეები ითვლება მეტალისტებზე ავიღოთ თვითეულზე 0,3 დღის სულ ყველა 3 მონაწილეებზე შედგება×4,500=1,350 დღე. ჩვეულებრივ დახმარებას კიდევ ემატება თვითეულზე 10—10 მ. (თუ საშუალოთ 120 მან. ვიანგარიშებთ ორი მესამედი,=80 მ., ხოლო გავცემთ სამ მეოთხედს=90 მ., განსხვავება გამოვა 10 მ.) სულ 13,500 მ.

დახმარება გაუმჯობესებული საზრდოობისთვის ექიმების შემოწმებით (შემწეობა ეძლევა მთელი დღის ქირა) ამნაირათ კასის ცნობებით გასავალი უნდა შედგეს 25,000 მ. თვეში, ხოლო 6 თვით=150,000 მ.

მონაწილე მუშა-ქალებისა და კაცების დამარხვაზე იხარჯება.

თუ სიკვდილის შემთხვევებს კასის ცნობით მივიღებთ საშუალოთ ერთი მეხუთედ პროც. (3,221 კ. სამ თვეში ასეთი შემთხვევა იყო 7), მაშინ 4500 მონაწილე თვეში მოგვცემს 3 შემთხვევას, ხოლო 6 თვის განმავლობაში 18 შემთ. ავიღოთ საშუალოთ 30 შემთხვევა.

დამარხვაზე დახმარება ეძლევა საშუალო სამუშაო ქირის, ე. ი. 120 მ. 25 პროც. პროცენტ. დღეში=3,000×30 შემ.=90,000 მ.

მუშა-კაცების ცოლების მშობიარობაზე იხარჯება.

კასის ცნობით 5 თვეში (2,200 - 23000 გვაძლევს 78 შემთ.) სულ=3 ნახ. პროც. 2,700 მონაწილე მოგვცემს ხუთ თვეში სულ=95 შემთხვ. და კიდევ ერთი თვისაც დაუმატოთ, ე. ი. 19 შემთ. სულ 114 შემთ. ავიღოთ 150 შემთ. თვითეულზე იხარჯება 1000 მ. სულ=10,000 მ.

ოჯახის მოზრდილ წევრების დამარხვაზე.

(ხუთ თვეში 3,200—3,400 კაციდან 14 შემთ.) აღნიშნულ პერიოდში 4,500 კაციდან ავიღოთ სულ 30 შემთხ. თითოზე 1,500 მ.=45,000 მ.

ბავშვების დამარხვაზე.

(ხუთ თვეში 23 შემთ. 3,200—3,400 კაციდან) აღნიშნულ პერიოდში 4,500 კაციდან ავიღოთ 50 შემთ.×1000 მან. =50,000 მან.

მონაწილეთა დასვენება (ოტპუსკი)

ექიმების შემოწმებით განთავისუფლებულთ, რომელთაც დახმარებათ ნახევარი დღის ქირა ეძლევათ=75,000 მ. ოჯახის წევრთა საექიმო დახმარებაზე იხარჯება 50,000 მ.×6=300,000 მან. სულ კასის მონაწილეებზე და მათ ოჯახებზე იხარჯება=2.721,500 მ.

კასის მმართველობის, კულტურ.-განმანათლ. მიზნით და სხვა ამგ. ხარჯი.

მოსამსახურეების ჯამაგირი 29,200 მ. თვეში, 6 თვეში×6=175,200 მან.

ბინა.

თვეში 950 მ.×6=5,700 მ. გათბობა: 2,000 მ.; განათება: 3,000 მ.; საკანცელარიო ხარჯები: 3,000 მ.; მსახური, დარაჯი მუშათა სასახლეში 6 თვეში=7000 მ. ბარათების, წესების, ინსტრუქციების, წესდების და ბლანკების დასაბეჭდი=75,000 მ.

აქ გასავალი ძალზე გადიდებულია, რადგან აღნიშნული ბლანკები დაბეჭდილია არა ნორმალურ წლებში, არამედ ხანგრძლივი დროისთვის.

გამგეობის [illegible] სხდომებზე.

თუ თვეში 4 სხდომას ვიანგარიშებთ და თვითეულ სხდომაზე 12—12 კაცს—თვეში 20—20 მან. სხდომაზე, მაშინ შედგება=960 მ.×6=5,760 მ.

სარევიზიო კომისია.

თვეში 4 ჯერ 4—4 კაცი 16420 მ.=320 მ.×6,920 მ.

ბიბლიოთეკა=25,000 მ. ტელეფონი=2,000 მ. (ერთდროულათ დადგმაზე დაიხარჯა=2,400 მ.) სათადარიგო თანხისთვის გადადებულია=182,250 მან. სულ გასავალი=488,150 მ. სულ კასის გასავალი=3,209,650 მან. დარჩენილი (3,645,000—3,209,650 მ.)=435,350 მ. გადამდები სენის შემთხვევებისათვის კიდევ ორ-ორი დღე უნდა ჩავთვალოთ თვითეულ ავათმყოფ მუშა ქალზე, სულ ყველა მუშა ქალებზე დაიხარჯება=243,000 მ., ხოლო მუშა კაცებზე—სულ 585,000 მ. სულ ყველაზე 728,000 მ. აქედან მივიღებთ გადამეტებულ ხარჯს 292,650 მ., რაც შეიძლება შეივსოს ჯამიდან—750,000 მ., რომელიც კასის სახელზე ინახება მიმდინარე ანგარიშით მოს. სახალ. ბანკში.

საზოგადო კრების დადგენილებით ოჯახის მოზრდილ გარდაცვლილ წევრის დამარხვაზე უნდა მიეცეს 2,000 მ., ხოლო ბავშვზე=1,500 მ.

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲒᲐᲜᲘ

სალამი მშრომელთა მებაირახტე პრესას „საქ. კომუნისტის“ რედაქციას. ვერავითარი „განსაკუთრებული რაზმი“ ვერ შეაჩერებს ჩაგრულთა კლასის ყოჟინას: სინათლე სძლევს სიბნელეს.

სენაკის სამაზრო ორგანიზაციების მონდობილობით **ე. შალ—ძე.**

—

სალამი და გამარჯვება „საქ. კომუნისტს“. ბედნიერია დღე საქართველოს მუშათა კლასის ორგანოს დაარსებისა. აღტაცებით ვეგებებით „საქ. კომუნისტის“ გამოსვლას, როგორც ყველა ქვეყნის ჩაგრულ კლასების და ხალხთა განმათავისუფლებელ ორგანოს. უსურვებ დიად გამარჯვებას მუშათა დ[illegible]ებს, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას.

მეორე სანაპირო რაზმის ჯარისკაცი

ვ. სუფსისპირელი,

გაზეთ «საქ. კომუნისტის» ფონდი.

გაზ. „საქ. კომ.“ ფონდის გასაძლიერებლათ ხაშურელ ამხანაგებისაგან: ივ. ძაძამია და ვ. ბარამიძისაგან 100 მან.

სოფ. ჩოლობარგის და ბათუმელ ამხანაგებისაგან 1500 მ.

ჯავადოვისაგან 17 მან.

ლანჩხუთის ამხანაგებისაგან 1000 მან.

სოლომონ ფოფხაძემ ერთი თვით გაუწერა სოფელ გორა-ბერეჟოულის სკმკითხველოს გაზეთი „საქ. კომუნისტი“.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის ბირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135, სადაც შეეხსნოვის სამკითხველო.

ბიურო დაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დაა დღის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

ამხანაგების საყურადღებოთ!

მეორე რაიონის ს. კ. ბ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსოვეტის სადგომში. მიღება ყოველ დღე დღის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 ,ათამდე.

მესამე რაიონის ს. კ. ბ. ბიურო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია, ბიურო დაა დღის 10 ნახ. [illegible] ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდე 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.